ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1249

"1" ივნისი 2017წ.

„ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 22 იანვრის №180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 6 აპრილის №14 და 2017 წლის 11 მაისის №19 სხდომის ოქმების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 22 იანვრის №180 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქუჩა №63-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.16.01.008.005) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქუჩა №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.01.008.005), მრავალფუნქციური (კომერციული, საცხოვრებელი) შენობის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE32TB7002533030100166.) 84 122.18 (ოთხმოცდაოთხი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი.“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის №2761 განკარგულება.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძე

23.08.2017წ

შპს„სასკო“-ს (ს/კ205045636)

დირექტორის გიორგი სიჭინავას

მის: ვაჟა-ფშაველას 16. ოფისი 222

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რ-ნში, ჩუბინაშვილის ქუჩა N63-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.16.01.008.005), მრავალფუნქციური (კომერციული, საცხოვრებელი) შენობის განსათავსებლად, განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით მოსაკრებელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 01 ივნისის, N1-1249 ბრძანებით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს. თიბისი ბანკი“ TBCBGE22. ანგარიში: GE32TB7002533030100166.) 84 122.18 (ოთხმოცდაოთხი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი.

სპეციალური (ზონალური) პარამეტრის გაზრდის ანგარიშზე უკვე დღეის მდგომარეობით გადახდილია 1000 (ათასი) ლარი. დანართათ გიგზავნით გადახდის ქვითრის ქსერო ასლს.

გთხოვთ დარჩენილი 83 122,18 (ოთხმოცდასამი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი გადაგვინაწილოთ ერთ წელიწადზე.

სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6927,4

შ.პ.ს. „სასკო“

დირექტორი: /გ. სიჭინავა/

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 16, ოფისი 222
222 office, 16 vazha Pshavela ave., Tbilisi, 0160, Georgia
Tel./Fax: (+995 32) 37 51 90, Tel.: (+995 32) 38 53 32, *1020
E-mail: info@sascogroup.ge
Web: www.sascogroup.ge

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი 1

საგადახდო დავალება # 1149161862

19 ოქტომბერი 2017 წელი

GEL 548.30

გადამხდელის დასახელება:	გიორგი სიჭინავა 01002010942 GEO	თანხა სიტყვიერად
	გადამხდელის ანგარიში GE44LB0052645015110400	ხუთასორმოცდარვა ლარი და 30 თეთრი
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22	

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება:	გიორგი გიორგაძე
საიდენტიფიკაციო კოდი:	01010006354
მიმღები დასახელება:	- ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში თბილისი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:	300773090
მიმღების ბანკი/ხაზინა	ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:	
გადახდის დანიშნულება:	AR1534434BP01010006354 გიორგი გიორგაძე მისაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვ ;:-548.3
დამატებითი ინფორმაცია:	
ხელმოწერა:	ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

ბანკში შემოსვლის თარიღი:

19-10-2017

ხელმოწერა:

შტამპი

შემომტანი Depositor	გიორგი სიჭინავა,01002010942	დებეტი Debit
	ასლი	1003
მიმღები ბანკი, კოდი	ს.ს. "თიბისი ბანკის" საბურთალოს ფილიალი, TBCBGE 22	კრედიტი Credit
მიმღები Receiver	აკადემიკოსი მალხაზ ბედიაშვილი	GE72 TB78 6513 6010 1000 16
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Bank name, code Amount in words,currency	ერთი ათასი ლარი 00 თეთრი	თანხა ციფრებით Amount in figures
	Copy	1,000.00 GEL
შემოტანის დანიშნულება Description	საექსპერტო დასკვნის საფასური	

16/10/2017 11:09:06 AM

მოლარე Cashier

TBC BANK TBCBGE22 ბ.ა.

ნაღდი შენატანი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

1779322963

GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

თარიღი 19/10/2017 Date

19/10/2017 1:28:01 PM

ასლი
Copy

შემომტანი Depositor	გიორგი სიჭინავა,01082010942	დებეტი Debit	1003
მიმღები ბანკი, კოდი	ს.ს. "თიბისი ბანკის" საბურთალოს ფილიალი, TBCBGE 22	კრედიტი Credit	GE32 TB70 0253 3030 1001 66
მიმღები Receiver	ქ.თბილისის მერია		
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Bank name, code Amount in words,currency	ექვსი ათას ცხრაას ოცდაექვსი ლარი 80 თეთრი	თანხა ციფრებით Amount in figures	6,926.80 GEL
შემოტანის დანიშნულება Description	ქ.თბილისში,ჩუღურეთის რ-ნში ქ63-შ არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.16.01.008.005) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი სექტემბერი		

თიბისი ბანკი
TBC BANK
კოდი CODE TBCBGE22
019067

მოლარე
Cashier

ბ.ა.

მაკა ბაგაშვილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
LEGAL DEPARTMENT

წერილის ნომერი: **10-01170523818**

გაცემის თარიღი: **21.02.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
მიმღები: გიორგი სიჭინავა
პირადი ნომერი: 01002010942
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16, ოფისი 221, (შპს სასკო)

ქ-ნო ნინო,

თქვენი 2017 წლის 21 თებერვლის N19/01170521613-01 განცხადების პასუხად, გიგზავნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2016 წლის 22 ივნისის N2 სხდომის ოქმიდან ამონარიდს, განცხადებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი: 8 ფურცელი.

პატივისცემით,

იურიდიული საქალაქო სამსახური -
საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო
მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქალაქი თბილისი 22.06.2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომა ჩატარდა 2016 წლის 22 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მდებარე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ., N7. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების საფუძველზე.

კომისიის სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გრიგოლ ლილუაშვილი (შემდგომში - სხდომის თავმჯდომარე). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, ,,კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში.".

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გრიგოლ ლილუაშვილი.

კომისიის წევრები:

ა) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - ნატო ქიტიაშვილი;

ბ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გივი კუბლაშვილი;

გ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - ლევან თუქვაია;

დ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -

ე) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე

ვ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -

ზ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე -

თ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე -

ი) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი

კ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ტყემალაძე;

ლ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - ნუგზარ მალაღურაძე;

მ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი - გიორგი ბაიდარაშვილი;

ნ) კომისიის წევრი - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი

ო) კომისიის წევრი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი - ნინო გვენცაძე;

პ) კომისიის წევრი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კახა ფოცხიშვილი;

ჟ) კომისიის წევრი - სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

რ) კომისიის წევრი - საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში -

კომისიის მდივანი - ნატო ნათენაძე.

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტზე მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის/ამხანაგობის წარმომადგენლები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომის გადაწყვეტილებაუნარიანობა დასტურდება დანართით წარმოდგენილი კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხელმოწერებით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) მიერ ჩატარებული სამუშაოს ანგარიშსა და დაუმთავრებელი მშენებლობის შემდეგი შემთხვევების განხილვას:

1. ამხანაგობა „სიმაღლე-წერეთელი";
2. ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88";
3. ი.მ.ა. "მშენებელი 2007";
4. შპს „სასკო";
5. ი.მ.ა. "სანაპირო-2005";
6. ამხანაგობა „აკურის N27,29,33, ალმასიანის N34,40,42,46";
7. ი.მ.ა. „შარტავას ქუჩა 75-2007";
8. ი.მ.ა "ოლიმპიური ვარსკვლავი";
9. შპს "მოყვასი - 2012";
10. შპს „ibuild";
11. ამხანაგობა „დელისი 3";
12. ამხანაგობა „მზიანეთი";
13. ი.მ.ა „პალადი ვერა";
14. ი.მ.ა. „ანაგა 2007";
15. მ.მ.ა „ჟურნალისტი";
16. ამხანაგობა „ყიფშიძე - 34".

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის 2016 წლის 18 აპრილის №1 სხდომაზე გაიცა დავალება შექმნილიყო კომისიის სამუშაო ჯგუფი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელიც იმუშავებდა დაუმთავრებელი მშენებლობის კონკრეტულ შემთხვევებზე, რაც კომისიას მისცემდა საშუალებას განეზოგადებინა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემატიკა და შეემუშავებინა მისი გადაჭრის ეფექტური საშეღავათო მექანიზმები.

სამუშაო ჯგუფი შეხვდა 36 დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტზე მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის/ამხანაგობის წარმომადგენლებს. თითოეულ დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევაზე ინდივიდუალურად განხილულ იქნა მშენებლობის შემაფერხებელი ფაქტობრივი გარემოებები და მათი დასრულების მიზნით შემოთავაზებული ინიციატივები. ასევე, სამუშაო ჯგუფის მხრიდან, კომპეტენციის ფარგლებში, კომპანიის/ამხანაგობის წარმომადგენლებს გაეწიათ კონსულტაციები და მიეცათ რეკომენდაციები.

სამუშაო ჯგუფმა კომპანიის/ამხანაგობის წარმომადგენლებთან ჩატარებული 5 შეხვედრის შედეგად, დაუმთავრებელი მშენებლობის პრობლემის გადაჭრის მიზნით, შეიმუშავა კანონპროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ორი პროექტი. ასევე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული შემთხვევების განზოგადების/კლასიფიკაციის მიზნით დაადგინა მშენებლობის დასრულების 10 შემაფერხებელი გარემოება.

სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კომისია შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევების განხილვას.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სამუშაო ჯგუფის წევრს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სპეციალისტს თამაზ ჩახუნაშვილს (შემდგომში - მომხსენებელი) სთხოვა დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევებზე მოხსენების გაკეთება.

მოხსენებასთან ერთად კომისიის სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

3. ი.მ.ა. „მშენებელი 2007" (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჩუბინაშვილის N63), წარმომადგენელი გიორგი სიჭინავა და გიორგი გიორგაძე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა სამშენებლო ობიექტზე ინფორმაცია, კერძოდ, ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის N63-ში (ს/კ 01.16.01.008.005), რომელიც 6 სართულიანი საოფისე შენობაა, საერთო ფართით: 3 578 კვ.მ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ი.მ.ა. „მშენებელი 2007"-ის წარმომადგენლმა განმარტა, რომ სამშენებლო ობიექტი კომერციულად არ არის მიმზიდველი, რადგან არ არის ინვესტირებისთვის საკმარისი თავისუფალი ფართი. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სამშენებლო ობიექტზე არის ორი ზონა: სარეკრეაციო ზონა 1 და საცხოვრებელი ზონა 6. წარმომადგენლის განმარტებით, სარეკრეაციო ზონა უკვე აშენებულ სამშენებლო ობიექტს დაედო.

აზრი გამოთქვა:

ი.მ.ა. „მშენებელი 2007"-ის წარმომადგენელმა კომისიას სთხოვა, რომ სამშენებლო ობიექტის საოფისე ფუნქცია შეიცვალოს საცხოვრებელ ფუნქციად. ასევე წარმომადგენელმა მიმართა კომისიას, რომ განიხილოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების საკითხიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - ი.მ.ა. „მშენებელი 2007"-ის განხილვისას კომისიის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია ი.მ.ა. „მშენებელი 2007"-ს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებაზე;

ბ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს სამშენებლო ობიექტის ფუნქციის შეცვლის საკითხის განხილვა;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ეთხოვოს, რომ განიხილოს და გამოიკვლიოს ი.მ.ა. „მშენებელი 2007"-ის სამშენებლო ობიექტზე არსებული ფუნქციური ზონის საკითხი.

4. შპს „სასკო" (მისამართი: ქალაქი თბილისი, გურამიშვილის გამზ. №17ბ), წარმომადგენელი გიორგი სიჭინავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა სამშენებლო ობიექტზე ინფორმაცია, კერძოდ, ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზ. №17 ბ-ში (ს/კ 01.12.09.017.011), რომელიც არის 14 სართულიანი საზოგადოებრივ-საცხოვრებელი შენობა, საერთო ფართით: 20 237 კვ.მ.. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ობიექტზე დარჩენილია სარეალიზაციო კომერციული და საცხოვრებელი ფართები. დამატებით ასევე აღნიშნა, რომ რეალიზებული ფართებიდან მესაკუთრეებს შემოსატანი აქვთ თანხები, რომელიც სამშენებლო ობიექტის საექსპლუატაციოდ დასრულებისთვის საჭირო თანხის 65% შეადგენს.

მომხსენებელმა დამატებით განაცხადა, რომ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამშენებლო ობიექტზე მაცხოვრებლების მიერ თვითნებურად განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები, რაც აფერხებს პროექტის კორექტირებას. ობიექტის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები და ლიფტების მონტაჟი. კომპანიის წარმომადგენლი ითხოვს პროექტის გამარტივებული წესით კორექტირებას.

კომისიის წევრმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ -

განაცხადა, რომ სამშენებლო ობიექტზე მაცხოვრებლების მიერ მომატებული ფართები იწვევს თუ არა არსებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებას, დასათვლელია შპს ,,სასკოს" მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შპს ,,სასკოს" განხილვისას კომისიის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ეთხოვოს პროექტის კორექტირებისა და პროექტით გათვალისწინებული ლიფტების სავალდებულოობის საკითხის განხილვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებებისა და სპეციალური საშეღავათო პირობების დადგენის მიზნით, ამავე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევებზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კომისიის სხდომის თავმჯდომარემ გასცა დავალება, რომ 16 დაუმთავრებელ მშენებლობაზე კომისიის დამსწრე წევრთა მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებული რეკომენდაციები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ მიმართა წინადადებით კომისიის წევრებს სხდომის ამ ფორმატით დასრულების თაობაზე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი

კომისიის მდივანი ნ. ნათენაძე ნატო ნათენაძე